პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 149 (9925) | პარასკევი, 25 ივნისი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერშია:

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).
კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნამ ირმა ინახულა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მავზოლეუმი (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება. — ხ. მუმლაძე. — საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია მევენახეობის განვითარებისათვის ბრძოლაში (მე-2 გვერდი).
რ. წულუკიძე. — საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების შეხამება სოციალიზმის დროს (მე-2 გვერდი).
გ. ოქრუაშვილი. — თივის აღების სამუშაოთა მექანიზაცია (მე-2 გვერდი).
საბჭოთა მთავრობის ნოტა ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობისადმი (მე-2 გვერდი).
ვ. ჰელიძე. — დავაჩქაროთ ჩაის კრეფის მექანიზაციის ხორციელება (მე-3 გვერდი).
წერილები რედაქციას (მე-3 გვერდი).
მ. ხეთაგური. — გორის რაიონში [illegible]
საერთაშორისო თემაზე. — კ. ჯოხიძე. — ტაილანდი ამერიკის იმპერიალიზმის სისტემაში (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).
სპორტის ამბები (მე-4 გვერდი).
თბილისი (მე-4 გვერდი).

მეჯი დახმარება ახალი ენერგეტიკული ბაზების მშენებლებს

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობაზე, რომელიც მიმდინარე წლის თებერვალში შედგა, ხაზგასმით აღინიშნა რესპუბლიკის ენერგეტიკული სისტემის გამომუშავებასა და სახალხო მეურნეობის, აგრეთვე მოსახლეობის მხრივ ელექტროენერგიაზე მზარდ მოთხოვნილებას შორის მეუფარდებლობა. ყრილობაზე ამასთან ითქვა, რომ წელს ელექტროენერგიის დეფიციტი ჩვენში საგრძნობლად გაიზრდება, თუ არ იქნა მიღებული ღონისძიებები ამ დეფიციტის შესანელებლად, ენერგეტიკული ბაზის გასაფართოებლად.

ამიტომ ყრილობამ საქართველოს მშრომელებს უმნიშვნელოვანეს ამოცანად დაუსახა ახალი დიდი ენერგეტიკული ბაზების მშენებლობის დაჩქარებისათვის ხელშეწყობა. ყრილობამ ეს საქმე საყოველთაო-სახალხო საქმედ აღიარა და მოგვიწოდა ყველა შესაძლებელი დახმარება გავუწიოთ ჰიდროელექტროსადგურებისა და თბოელექტროსადგურების მშენებლობებს მუშახელისა და საშენი მასალების მიწოდებით, მშენებელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში წვლილის შეტანით, მშენებლობის ტემპის დაჩქარებისათვის ყველა პირობის შექმნით.

ყრილობის ამ მითითებათა შესასრულებლად უკვე ბევრი რამ გაკეთდა და კვლავაც კეთდება. დაწყებულია მუშაობა მომძე აზერბაიჯანის ენერგოსისტემის დასაკავშირებლად საქართველოს ენერგოსისტემასთან ელექტროგადამცემი ხაზით, რომლის მშენებლობაც შედარებით მოკლე დროში უნდა დამთავრდეს. ახალი ენერგეტიკული ბაზების მშენებლებს რესპუბლიკის მშრომელებმა დასახმარებლად მიაშველეს 2.500-მდე კაცი და ამდენსავე მიაშველებენ მესამე კვარტალში. ამის შედეგად აპრილიდანვე ჰიდროელექტროსადგურების მშენებელთა კოლექტივებმა გააძლიერეს მუშაობის ტემპი, წარმატებით შეასრულეს მაისში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმები და მიაღწიეს მეორე კვარტალის გეგმის შესრულების უზრუნველყოფას.

ახალი, დიდი ენერგეტიკული ბაზების მშენებლების დასახმარებლად კვალიფიციური კადრების გაგზავნაში ფასდაუდებელი ინიციატივა გამოიჩინეს რესპუბლიკის დედაქალაქის — თბილისის კომკავშირელებმა, რომელთა მაგალითიც მისაბაძი გახდა საქართველოს მთელი ახალგაზრდობისათვის.

თბილისელი კომკავშირელების მიერ წამოწყებულმა ამ დიდმა პატრიოტულმა თაოსნობამ შესანიშნავი ნაყოფი მოგვცა. ლაჯანურჰესის, გუმათჰესების, ტყიბულჰესის მშენებელთა კოლექტივებმა, კომკავშირელ მშენებელთა ახალი ნაკადის შემატების შემდეგ, მაისში შესამჩნევად გაზარდეს შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა.

ახლოვდება მესამე კვარტალი, ახალი ენერგეტიკული ბაზების მშენებლებისათვის მეტად პასუხსაგები პერიოდი, როდესაც ჩვენს ჰიდროენერგომშენებლებს საგრძნობლად გადიდებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულება ეკისრებათ. მესამე კვარტალში ჰიდროენერგომშენებლებს სამუშაოთა მოცულობა მიმდინარე წლის პირველ კვარტალთან შედარებით 25 მილიონი მანეთით უდიდდებათ. სამშენებლო სამუშაოთა გაფართოებული პროგრამის შესრულების უზრუნველსაყოფად მათ კვლავ სჭირდებათ დახმარება მუშახელით. ამ მხრივ რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონების მშრომელები ვალში არიან ჰიდროენერგომშენებლების წინაშე. მშენებლებს ვერ შეუსრულეს დაპირება და დათქმული რაოდენობით მუშახელი არ გაუგზავნეს ონის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, მცხეთის, საგარეჯოს, წალენჯიხის, ჭიათურის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, თეთრიწყაროს და მთელმა რიგმა სხვა რაიონებმა. ჰიდროენერგომშენებლებისათვის დასახმარებლად მუშახელის ახალი ნაკადის გაგზავნისას რაიონების საბჭოთა, პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მეტი თადარიგი, წინდახედულობა და ენერგია უნდა გამოიჩინონ.

მაგრამ არ კმარა მშენებლებისათვის მარტოოდენ მუშახელის მიწოდება. ცალკე მშენებლობებიდან მოდის ცნობები, რომ რაიონებში ორგანიზებული არ არის მშენებელთათვის ბოსტნეულის, ხილის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიწოდების საქმე. მშენებლები სამართლიან საყვედურს გამოთქვამენ ცეკავშირის მისამართით, რომელსაც საშუალება აქვს მშენებელთა საცხოვრებელ დაბებში და უბნებში მოაწყოს კოლმეურნეობებიდან გატანილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საკომისიო ვაჭრობა, მაგრამ ეს არ კეთდება.

სუსტად ეხმარებიან მშენებლებს სახალხო ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებიც. ლაჯანურჰესის მშენებელთა საცხოვრებელ დაბაში დიდი ხანია გაამზადეს ახალი შენობა 25-საწოლიანი საავადმყოფოსათვის და მეორე შენობა — საბავშვო ბაგისათვის, მაგრამ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ დღემდე ვერ მოახერხა საავადმყოფოსა და საბავშვო ბაგის გახსნა. თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა ტყიბულჰესის მშენებლობაზე, სადაც ზოგი სამშენებლო უბნიდან საჭიროების შემთხვევაში ადამიანებს კვალიფიციური სამკურნალო დახმარების მისაღებად შორ მანძილზე უხდებათ წასვლა.

ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ მშენებლობებზე მოუწესრიგებელია საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმე, იშვიათია კინოსეანსები, კიდევ უფრო იშვიათი — მხატვრული საღამოებისა და კონცერტების მოწყობა, განხორციელებული არ არის მშენებელთა საერთო საცხოვრებლების რადიოფიკაცია და ა. შ. ყოველივე ამის შედეგად აქა-იქ ადგილი აქვს მუშების განთესვას. მაისში მარტო ლაჯანურჰესის მშენებლობიდან თვითნებურად წავიდა 90-მდე კაცი.

1954 წელი რესპუბლიკის მთელი რიგი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაში გადამწყვეტია. წელს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმის წარმატებით შესრულებაზე დიდად არის დამოკიდებული გუმათჰესების კომპლექსის პირველი რიგის სიმძლავრისა და ტყიბულჰესის პირველი რიგის სიმძლავრის ამოქმედება მთავრობის მიერ დანიშნული ვადისათვის. იგივე უნდა ითქვას ლაჯანურჰესის, სიონმშენისა და მეორე ხრამჰესის სამუშაოთა სწრაფი განვითარების შესახებ.

დიდი დახმარება ესაჭიროებათ ჰიდროენერგომშენებლებს ახალი დაკვრითი ზასიათის დავალების შესასრულებლად — უახლოეს რამდენიმე თვეში დამთავრონ ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა აზერბაიჯანისა და საქართველოს ენერგეტიკული სისტემების ურთიერთთან დასაკავშირებლად. ეს სამუშაო მეტად სასწრაფოა, რადგან მის დროულად დამთავრებაზე დამოკიდებულია შემოდგომა-ზამთარში მოსალოდნელი ელექტროენერგიის დეფიციტის საგრძნობი შემცირება.

ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანების შესრულებაში ენერგეტიკოს-მშენებლებს მეტი დახმარება უნდა გაუწიონ სამომხმარებლო კოოპერაციამ, სათანადო სამინისტროებმა და რაიონების საბჭოთა და პარტიულმა ორგანიზაციებმა.

საქართველოს ახალი ენერგეტიკული ბაზების მშენებლობა პარტიამ საყოველთაო-სახალხო საქმედ. დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის საქმედ გამოაცხადა. მუდამ უნდა გვახსოვდეს ჩვენი პარტიის ფუძემდებლის და გენიალური ბელადის ვ. ი. ლენინის ანდერძი, რომ კომუნიზმი არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაცია.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნამ ირმა ინახულა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მავზოლეუმი

23 ივნისს გზად ჟენევიდან ფხენიანსაკენ მოსკოვს ჩამოვიდა საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირზე კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ნამ ირის მეთაურობით.

24 ივნისს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნამ ირმა სსრ კავშირში კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ლიმ ხეს თანხლებით ინახულა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მავზოლეუმი და გვირგვინით შეამკო იგი.

გვირგვინით შემკობას დაესწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის თანაშემწე ლ. ფ. ტეპლოვი. (საკადესი).

საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ძეგლი გორში

გორი. (საკ. კორ.). ამ დღეებში გორის ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ტერიტორიაზე დაიდგა საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის ძეგლი.

ძეგლის ირგვლივ მოწყობილია სკვერი.

ფოტო შ. კუკულავასი.

მოკლე ამბები საწარმოებიდან

კასპი. კასპის შიფერის ქარხნის ხელმძღვანელები რედაქციაში გამოგზავნილი დეპეშით გვატყობინებენ, რომ შიფერის ქარხნის კოლექტივმა პროდუქციის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა შეასრულა 19 ივნისისათვის და იკისრა უზრუნველყოს წლიური გეგმის მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულება.

სამტრედია. სადგურ სამტრედიაში ორეულ ახლახან მოეწყო საკონტეინერო გადაზიდვათა საოპერაციო ბაქანი, რომელმაც დიდად დაეხმარა სოხუმის, ბათუმის, ფოთისა და თბილისის მიმართულებებით ტვირთზიდვა. ბაქანი აღჭურვილია ყველა საჭირო მექანიზმით.

ქუთაისი. ქუთაისის საგრენაჟო ქარხნის კოლექტივმა, როგორც ამ ქარხნის დირექტორი ამხ. მაჭარაშვილი გვატყობინებს, წარმატებით შეასრულა აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა. პარკის დამზადება გრძელდება.

ფოთი. ფოთის თევზის ქარხნის კოლექტივმა წელს სასახელოდ იმუშავა, საგრძნობი გადაჭარბებით შესრულა თევზის პროდუქციის გამოშვებისა და თევზჭერის დავალებები, უზრუნველყო საერთო პროდუქციის გამოშვების ნახევარი წლის გეგმის ვადამდე 25 დღით ადრე განაღდება.

წლის პირველი ნახევრის გეგმის გადაჭარბებით შესრულების გამო ფოთის თევზის ქარხნის კოლექტივმა სსრ კავშირის თევზის მრეწველობის მინისტრის ამხ. ა. იშკოვისაგან მისალოცი დეპეშა მიიღო.

ზესტაფონი. ამას წინათ ზესტაფონის რაიონეს სამრეწველო კომბინატის მუშა-მოსამსახურეებმა მოაწყეს მასობრივი გასვლა სოფელ კვალითში კოლმეურნეებისათვის სიმინდის თოხნაში დახმარების გასაწევად. მუშა-მოსამსახურეებმა კვალითელებს ამ დღეს 7 ჰექტარი სიმინდის ყანა გაუთოხნეს.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დღიური

არჩილ ნადირაძის აგრეგატი

ახმეტა. („კომუნისტის“ კორ.). პურეულის მოსავლის აღებაზე ახმეტის მტს-ის კომბაინერი არჩილ ნადირაძე საათობრივი გრაფიკით იმუშავებს. მას ზუსტად აქვს გათვალისწინებული მუშაობის დაწყების, შესვენების, მუშაობის დამთავრების, კომბაინის აგრეგატის მოვლის დრო.

მალე მკა გაჩაღდება. ა. ნადირაძემ მაღალხარისხოვნად შეაკეთა კომბაინი. მარცვალმჭერი სრულ წესრიგზე მოიყვანა. ხანძრის საწინააღმდეგო მოწყობილობა მოხერხებულად გამართა. მოსავლის სწრაფად და მაღალხარისხოვნად აღებისათვის მან სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ახმეტის მტს-ის კომბაინერი თ. ნადირაშვილი და ვალდებულება იკისრა 20 სამუშაო დღეში სოფელ ახმეტის კოლმეურნეობა „პირველ მაისში“ თვითმავალი კომბაინით პურეული მომკას 500 ჰექტარზე და გალეწოს 700 ტონა.

კომბაინერთა შეჯიბრება

საგარეჯო. („კომუნისტის“ კორ.). პურეულის მოსავალი კარგია. მოწინავე მექანიზატორები ებმებიან სოციალისტურ შეჯიბრებაში მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის. იორის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის კომბაინერმა ვ. ალექსიშვილმა დროულად შეაკეთა კომბაინი. მან იკისრა „სტალინეც-6“ კომბაინით სართიჭალის კოლმეურნეობაში მომკას 500 ჰექტარი პურეული, გალეწოს 600 ტონ. მარცვლეული და დაზოგოს 5 პროცენტი საწვავი. ამხ. ალექსიშვილმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია სართიჭალის მტს-ის კომბაინერი გ. ხინჯიკაშვილი. ამხ. ხინჯიკაშვილმა მიიღო გამოწვევა და თავის მხრივ იკისრა 20 სამუშაო დღეში თავთავიანი კულტურების მოსავალი აიღოს 550 ჰექტარზე და გალეწოს 700 ტონა.

კომბაინერთა შორის მოწყობილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ აგრეთვე უჯარმის მტს-ის კომბაინერი ლ. კვალიაშვილი, იორის მტს-ის კომბაინერი დ. ქვლივიძე. მათ ვალდებულება იკისრეს „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით თვითეულმა პურეული მომკას 500 ჰექტარზე.

მექანიზატორთა ვალდებულებანი

დმანისი. („კომუნისტის“ კორ.). პურეულის უდანაკარგოდ აღებისათვის მოწყობილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება დმანისის მტს-ის კომბაინერი გიორგი ასლანიანცი. მისი ვალდებულებაა „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით სოფელ მაშავერის კოლმეურნეობაში 20 სამუშაო დღეში მომკას 600 ჰექტარი და გალეწოს 900 ტონა ხორბალი. ასლანიანცი ეჯიბრება კომბაინერ შ. ისკანდაროვს.

მიხეილ ტატუაშვილი კარგად დაეუფლა თვითმავალი კომბაინის მართვას. წელს მისი ვალდებულება ასეთია: 20 სამუშაო დღეში სოფელ ბოსლების ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში მოსავალი აიღოს 400 ჰექტარზე.

კომბაინერები მზად ხვდებიან ალოობას.

პირველი განალეწი პური სახელმწიფოს

ყვარელი. („კომუნისტის“ კორ.). კოლმეურნეობები შეუდგნენ პირველი განალეწი ქერის ჩაბარებას სახელმწიფოსათვის. ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ „ზაგოტზერნოს“ მუკუზნის მარცვლეულის მიმღებ პუნქტს ჩაბარა 2,5 ტონამდე ქერი.

კოლმეურნეობა მალე მასობრივად შეუდგება საბჭოთა სახელმწიფოსათვის პირველი განალეწი ქერის ჩაბარებას.

მოწინავე მევენახეები

ორჯონიკიძე. („კომუნისტის“ კორ.). სოფელ ღვერკის უდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში კარგად უვლიან ვენახს. გოგირდისა და ბორდოს სითხით ვენახის წამლობა სამჯერ მოაწყეს.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა მეორე ბრიგადა, რომელსაც ა. ხარატიშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადას მოსავლელად მიჩენილი აქვს 15 ჰექტარი მსხმოიარე ვენახი. ბრიგადა იბრძვის იმისათვის, რომ საშუალოდ ჰექტარზე მიიღოს 80 ცენტნერი შამპანური ჯიშის ყურძენი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 60 ცენტნერისა. ბრიგადის წევრები ი. იაშვილი, ბ. ხარატიშვილი, ი. რთველიაშვილი ამჟამად ვენახის მეოთხე წამლობაზე მუშაობენ და ყოველდღიურ დავალებას 180-200 პროცენტით ანაღდებენ.

კვადრატულ-ბუდობრივად ნათესი სიმინდის დამუშავება

აბაშა. („კომუნისტის“ კორ.). სოფელ ნოღლიბაშის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში აბაშის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის ტრაქტორისტი გ. გოჩოლეიშვილი ექვსმწკრივიანი კულტივატორით შეუდგა კვადრატულ-ბუდობრივად ნათესი სიმინდის მეორე კულტივაციას. მოწინავე მექანიზატორი გ. გოჩოლეიშვილი დღეში 15-20 ჰექტარზე ატარებს კულტივაციას.

სოფელ მარნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში კარგად უვლიან სიმინდის ნათესს. ნათესებს მექანიზებულად ამუშავებენ. ამ საქმეში კოლმეურნეობას ენერგიულად ეხმარება ტრაქტორისტი ი. მიგინეიშვილი. იგი გ. გოჩოლეიშვილს ეჯიბრება და ნათესის კულტივაციის ყოველდღიურ დავალებას 150-180 პროცენტით ანაღდებს.

მშვენიერი სანახავია სოფელ სუჯუნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრ ი. ბოშტარიასათვის მოსავლელად მიჩენილი სიმინდის ნათესი. პირველი თოხნა დამთავრდა. ახლა ი. ბოშტარია მეორედ თოხნის. იგი ჰექტარზე 200 ცენტნერი სიმინდის მოყვანისათვის იბრძვის.

პურეულს აიღებს 600 ჰექტარზე

ბოლნისი. („კომუნისტის“ კორ.). მოსავლის აღებისათვის გაცხოველებით ემზადებიან ბოლნისის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მექანიზატორები. კომბაინერი ხ. ომაროვი, რომელიც მოსავლის აღებაზე სოფელ ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში იმუშავებს, შეჯიბრებაში ჩაება კომბაინერ ბ. ბაღდასაროვთან და ვალდებულება იკისრა „სტალინეც-6“-ით 20 სამუშაო დღეში ხორბლის მოსავალი უდანაკარგოდ აიღოს 600 ჰექტარზე, გალეწოს 950 ტონა. ასევე სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება და გეგმის გადამეტებით 100 ჰექტარი პურეულის მოსავლის აღება იკისრა ახალგაზრდა კომბაინერმა ოთარ ფრუიძემ.

მივცეთ სამშობლოს მეტი, უკეთესი ხარისხის ჩაი

ბრიგადას, რომელსაც 1941 წლიდან ვხელმძღვანელობ, აგროწესების ზუსტად განხორციელების შედეგად ყოველწლიურად ჩაის, სიმინდის და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ბარაქიანი მოსავალი მოჰყავს.

ბრიგადაში ჩაი წამყვანი კულტურაა. შარშან 12 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 7.196 კილოგრამი ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფეთ, ნაცვლად 5.500 კილოგრამისა. დიდად გავზარდეთ აგრეთვე სიმინდის მოსავლიანობა. ამ წარმატებას მივაღწიეთ პლანტაციების სანიმუშოდ მოვლით. წესიერი კრეფით.

ბრიგადის ყველა წევრი სტახანოველია. მათ გავლილი აქვთ აგროზოოტექნიკური წრეები. ბრიგადაში ახლა არ არის არც ერთი ისეთი წევრი, რომელიც გამომუშავების დღიურ ნორმას გადაჭარბებით არ ასრულებდეს. თვითეულ ბუჩქს საგულდაგულოდ ვუვლით. პლანტაციაში სავსებით მოვსპეთ სიმეჩხრე. პლანტაცია მუდამ სუფთა და ფხვიერ მდგომარეობაშია.

შარშან საბჭოთა ქვეყანაში ღირსებისა და სახელის საქმეა. ბრიგადაში 16 სოციალისტური შრომის გმირია. იზრდება საკოლმეურნეო ხვავი და ბარაქა. ბრიგადაში შარშან ფულადმა შემოსავალმა 1.275.000 მანეთს მიაღწია. შრომადღეზე კოლმეურნეებს ერგოთ 25 მანეთი და 6 კილოგრამი მარცვლეული. საკოლმეურნეო შრომით მტკიცედ დამკვიდრდა საამური ცხოვრება. კოლმეურნე ი. ყუფუნაია ოჯახმა შარშან 1.800 შრომადღე გამოიმუშავა და პრემიის ჩათვლით ფულად 46 ათასი მანეთი და 5.400 კილოგრამი მარცვლეული მიიღო. ასეთი მაგალითი ბრიგადაში ბევრია.

ახლა მთელ ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებულია შემოქმედებითი შრომა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. ახალი ძალით გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის მიღების უფლების მოპოვებისათვის.

წელს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მეჩაიეობის წარმატებათა ამსახველ სტენდზე ნაჩვენები იქნება აგრეთვე ჩვენი ბრიგადის წარმატებანი ჩაის დარგში. ეს საპატიო უფლება აღავფრთოვანებს ჩვენი ბრიგადის წევრებს იმისათვის, რომ მომავალში უფრო მეტ წარმატებებს მიაღწიონ.

ბრიგადამ სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლის მიღებისათვის ფართოდ გაშალა სოციალისტური შეჯიბრება. ჩვენი ბრიგადა საშუალოდ ჰექტარზე მოვიყვანოთ 8.500 კილოგრამი მაღალხარისხოვანი ჩაის ნედლეული, ხოლო სიმინდის მოსავლიანობა ჰექტარზე ავიყვანოთ 40 ცენტნერამდე.

ბრიგადის ყველა წევრი დაუღალავად მუშაობს ნაკისრი ვალდებულების გასანაღდებლად. მაისში გეგმით უნდა მოგვეკრიფა 18.400 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ეს დავალება ვადაზე ადრე გადაჭარბებით შევასრულეთ. წარმატებით ვმუშაობთ ივნისშიც. 15 ივნისისათვის ფოთლის კრეფის თვიური დავალება 62 პროცენტით გავანაღდეთ.

მივცეთ ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს მეტი და უკეთესი ხარისხის ჩაი — ასეთია ბრიგადის წევრთა გადაწყვეტილება.

თამარ ყუფუნია,
ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი.

პრემიები კარგი მუშაობისათვის

სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას, 1953 წელს მოპოვებული საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლებისათვის, პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია 6.900 მანეთის რაოდენობით მიეკუთვნა საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს მცხეთის სასისტემო სამმართველოს (უფროსი ამხ. ი. შარაშიძე). ბოლნისის სასისტემო სამმართველოს (უფროსი ამხ. ნ. ფალავანდიშვილი) მიეკუთვნა მეორე ფულადი პრემია 2.800 მანეთის რაოდენობით.

საკავშირო პროფსაბჭომ და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ამასთან აღნიშნეს ზუგდიდის სასისტემო სამმართველოს (უფროსი ამხ. გ. ზაღიშვილი) კოლექტივის კარგი მუშაობა და მას მადლობა გამოუცხადეს.

პარტიული ცხოვრება

საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია მევენახეობის განვითარებისათვის ბრძოლაში

მევენახეობას დიდი ხვედრითი წონა აქვს ზესტაფონის რაიონის სოფელ ტაბაკინის შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობის ეკონომიკაში. შარშან კოლმეურნეობამ სრულმოსავლიანი ვენახის ყოველ ჰექტარზე 72 ცენტნერი მაღალხარისხოვანი ყურძენი მიიღო, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 59 ცენტნერისა, და სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით 200 ცენტნერი ყურძენი ჩაბარა.

საკოლმეურნეო წარმოების ყველა უბანზე გავლენის გასაძლიერებლად პარტიულმა ორგანიზაციამ სწორად გაანაწილა კომუნისტები ბრიგადებსა და რგოლებში. 20 კომუნისტიდან მევენახეობაში მუშაობს 9, მემინდვრეობაში — 7, ხოლო მეცხოველეობის ფერმებში — 4. მევენახეობის 5 ბრიგადირიდან სამი კომუნისტია. ისინი ყველანი შრომის ავანგარდში დგანან.

პარტიული ორგანიზაცია თვალყურს ადევნებს მევენახეობაში არსებულ მდგომარეობას და სასწრაფოდ იღებს საჭირო ზომებს შემჩნეული ნაკლის აღმოსაფხვრელად. მაგალითად, პარტიულმა ორგანიზაციამ შენიშნა, რა მკვეთრად ჩამორჩა სავენახე პლანტაჟის გეგმის შესრულება. მაშინვე ეს საკითხი ღია პარტიული კრების მსჯელობის საგანი გახდა. კრება 8 იანვარს შედგა. მომხსენებელმა კომუნისტმა შ. ფერაძემ და სიტყვებით გამოსულმა კომუნისტმა დ. მიშველიძემ, კომკავშირელმა ს. გრძელიძემ და სხვებმა მკაცრად გააკრიტიკეს ის ბრიგადები და ცალკეული მევენახეები, რომლებიც თავს იმართლებდნენ ცუდი ამინდის მომიზეზებით. კრებამ ჩამორჩენის დასაძლევად საჭირო ღონისძიებანი დასახა. პარტბიურომ ყოველდღიური კონტროლი დაიწესა მიღებული დადგენილების შესრულებაზე. უპარტიო კოლმეურნეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი კომუნისტთა თაოსნობას და უკვე 22 თებერვალს, როცა პარტიულმა კრებამ იანვრის დადგენილების შესრულება შეაჯამა, აღმოჩნდა, რომ ვენახის პლანტაჟის დავალება წარმატებით იყო შესრულებული.

ვენახის დამუშავებისა და მოვლა-პატრონობის საკითხზე კომუნისტებმა იმსჯელეს აგრეთვე 22 მარტისა და 7 აპრილის პარტიულ კრებებზე და ქმედითი დადგენილებანი მიიღეს. ისინი გამოვიდნენ სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებად.

შეჯიბრება ფართოდ გაიშალა ბრიგადებსა, რგოლებსა და ცალკეულ კოლმეურნეთა შორის. მთლიანად კოლმეურნეობამ იკისრა სრულმოსავლიანი ვენახის ყოველ ჰექტარზე წელს მოკრიფოს 80 ცენტნერი ყურძენი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 59 ცენტნერისა, და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ცხრაწყაროს სტალინის სახელობის კოლმეურნეობა.

ამ ვალდებულების გასანაღდებლად დიდი მუშაობა გააჩაღეს ტაბაკინელმა კოლმეურნეებმა. თავის დროზე გათხრეს და შესარეს ვენახის მთელი ფართობი, საკმაო დოზით შეიტანეს მინერალური და ორგანული სასუქები, დროზე შეწამლეს ვენახები შაბიამნით. კოლმეურნეებს გათვალისწინებული აქვთ წელს ვენახი შაბიამნით შეწამლონ ოთხჯერ, გოგირდი შეაფრქვიონ სამჯერ, ზუსტად დაიცვან ვაზის მწვანე ოპერაციების აგროწესები.

ამ შრომის ავანგარდში კომუნისტები არიან. ყველაზე კარგ შედეგს მევენახეობის ის ბრიგადები აღწევენ, რომლებსაც კომუნისტები ნ. კამლაძე და დ. მიშველიძე ხელმძღვანელობენ. კომუნისტ ზ. შათირიშვილის რგოლი იმისათვის იბრძვის, რომ მიჩენილი 4,8 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 58 ცენტნერის ნაცვლად მიიღოს 85 ცენტნერი ყურძენი. კოლმეურნეს კომუნისტ ანდრო ჯაფარიძეს მოსავლად მიჩენილი აქვს 0,5 ჰექტარი ვენახი, საიდანაც გეგმით 29 ცენტნერი ყურძენი უნდა მიიღოს. იგი ვენახს სანიმუშოდ უვლის და პირობას იძლევა, რომ 45 ცენტნერ ყურძენს მიიღებს.

წარმატებების მიუხედავად პარტიულ ორგანიზაციას ნაკლიც აქვს. მთავარი ნაკლი ის არის, რომ პარტიულმა ორგანიზაციამ დღემდე ვერ მიიღო გადამჭრელი ზომები ვენახების შესაღობავად და დასაცავად, ყურადღება არ მიაქცია აგრეთვე ვაზის სანერგეს. შარშან კოლმეურნეობაში სანერგე გაშენებული იყო 0,5 ჰექტარზე. იქ 60.000 ძირი ვაზი დარგეს. სანერგის მუშაკებმა, რომლებსაც კომუნისტი კ. მიქაბერიძე ხელმძღვანელობდა, შეანელეს სანერგეში მუშაობა. ამის გამო 60.000 ძირი ვაზიდან მხოლოდ 11.000 ძირი გახარებული ნამყენი მიიღეს. იმის მაგიერ, რომ გარდამეტი ნამყენი ვაზი გაეყიდა, კოლმეურნეობას წელს პირიქით ადგილობრივი საჭიროებისათვის 47.500 მანეთის ვაზის ნერგის შეძენა დასჭირდა.

ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრით პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა შეძლოს საკოლმეურნეო წარმოების ყველა უბანზე სრული წესრიგის დამყარება და კოლმეურნეთა ერთსულოვანი დარაზმვა მევენახეობის შემდგომი განვითარებისათვის, მისი მოსავლიანობის გადიდებისათვის.

ს. მუმლაძე.

თივის აღების სამუშაოთა მექანიზაცია

სილნაღის რაიონის ალაზნის მტს-ის გამოცდილებიდან

წელს თივის აღების დაწყებამდე კარგა ხნით ადრე ალაზნის მტს-ის დირექციამ პარტიულ ორგანიზაციასთან ერთად აგრეგატების ხელმძღვანელების, კოლმეურნეობების თავმჯდომარეების, საკვებმოპოვების ბრიგადების ბრიგადირების, მისაბმელ მანქანებზე მომუშავე ადამიანების ფართო მონაწილეობით შეიმუშავა გრაფიკი და მოძრაობის მარშრუტი თვითეული აგრეგატისათვის. ბრიგადებმა მიიღეს სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა. გამოცდილი მექანიზატორების ხელმძღვანელობით შეიქმნა 8 სათიბი აგრეგატი, რომელთაც გადაეცათ 12 სხვადასხვა მარკის ტრაქტორი, 24 სატრაქტორო სათიბი, 6 ფოცხი, 2 შემგროვებელი და წნეხი.

მტს-ის ზონის სამივე კოლმეურნეობას ბუნებრივი ბალახების დიდი მასივები აქვს მომმე აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე შირვანში, რომელიც მანქანა-ტრაქტორთა სადგურს 960 კილომეტრით არის დაშორებული. ტერიტორიული სიშორის გარდა, შირვანის საზამთრო საძოვრებზე ბალახი ადრე შემოდის და მოკლე დროის მანძილზე იწყებს გადამწიფებას. ეს თავისებურება თავიდანვე გაითვალისწინეს. შირვანში სამუშაოდ შეიქმნა სპეციალური ბრიგადა გამოცდილი მექანიზატორის ვ. ტალიამშვილის მეთაურობით. მასვე დაევალა საერთო ტექნიკური ხელმძღვანელობა. კოლმეურნეობებმა მექანიზატორების დასახმარებლად გამოჰყვეს 42 კაცი და 3 ავტომანქანა. მტს-ის ტექნიკა თიბვის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე მიზიდეს საზამთრო საძოვრებზე. აგრეგატების უფროსებმა ა. კოკევნიკოვმა, თ. სოზაშვილმა და ვ. ხონინმა ახალი ვალდებულებები იკისრეს და ურთიერთშორის გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება გამომუშავების ნორმების გადაჭარბებით შესრულებისათვის. კარგად მოეწყო საზოგადოებრივი კვება, საწვავისა და წყლის მოზიდვა, მანქანების ტექნიკური დათვალიერება. ყოველივე ამან უზრუნველყო ტექნიკის მაღალნაყოფიერად გამოყენება.

მექანიზატორებმა შრომა ისე მოაწყეს, რომ უწყვეტ ნაკადად წარმართუნელიყო თივის აღების ყველა პროცესი. გათიბულ და გამშრალ ბალახს მეორე დღეს სატრაქტორო ფოცხებით აბულულებდნენ, ამავე დღეს შემგროვებლით აგროვებდნენ და ზვინავდნენ. ამით თავიდან აიცილეს ბალახის ხარისხის გაუარესება.

პირველობისათვის ბრძოლაში თავიდანვე აქტიურად ჩაება აგრეგატი, რომელსაც ა. კოკევნიკოვი მეთაურობს. აგრეგატის მექანიზატორები ყოველდღიური გამომუშავების ნორმებს 170-180 პროცენტით ასრულებდნენ და 12 სამუშაო დღეში 450-მდე ჰექტარი ბალახი გათიბეს, დააბულულეს და შეაგროვეს, ამასთან 1.654 კილოგრამი საწვავი დაზოგეს. მარტო შირვანში ნამუშევარზე აგრეგატის ხელმძღვანელს ა. კოკევნიკოვს 248 შრომადღე და 1.240 მანეთი დაერიცხა. მოწინავეთა რიგებში არიან თ. სოზაშვილისა და ვ. ხონინის აგრეგატებიც. მექანიზატორებმა ღირსეულად გაანაღდეს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება — შირვანის საძოვრებზე 12 სამუშაო დღეში მთლიანად დაამთავრეს თივის აღება 1.000 ჰექტარზე. ამჟამად მექანიზატორთა ერთი ნაწილი მუშაობს თივის დაწნეხვაზე. უკვე 300 ტონაზე მეტი თივაა დაწნეხილი და მზად არის გადმოსაზიდად.

მტს-ის ზონის კოლმეურნეობების ძირითადი სათიბი მასივები ალაზნის ველზეა გაშლილი. აქ ბალახი მაისის ბოლო რიცხვებში შემოდის. ეს გარემოება მოითხოვდა მოქნილ ორგანიზებულ მუშაობას, რადგან თიბვის გაჭიანურება გამოიწვევდა ბალახის გადაწვას, ხოლო ძერე მხრივ მოუსწრებდა პურეულის აღება. შოროქანში, ჩეფაზე, მილარზე და სხვაგან მომუშავე ხუთივე აგრეგატს მიეცა მტკიცე დავალება და ვადები. გრაფიკი ზუსტად ითვალისწინებდა მანქანების მოძრაობასა და მარშრუტს. მალე აქ დასახმარებლად ჩამოვიდნენ შირვანიდან დაბრუნებული აგრეგატებიც. თიბვის პირველი დღეებიდანვე გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. მტს-ის პარტიულმა ორგანიზაციამ მექანიზატორთა შორის გაშალა პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობა, გამოდის სპრრძოლო ფურცლები და სხვა.

სათიბი აგრეგატების შეუფერხებელი მომსახურება მაღალნაყოფიერი შრომის უმნიშვნელოვანესი პირობაა. კოლმეურნეობებმა მექანიზატორებისათვის მინდვრად მოაწყეს საველე მოძრავი ბინები და კარვები, უზრუნველყვეს ისინი საზოგადოებრივი კვებით, საწვავისა და წყლის დროული მიწოდებით. მოწოდების სიმაღლეზეა მტს-ის სადისპეტჩერო სამსახური, რომელსაც ყოველ წუთს შეიძლება დაუკავშირდეს თივის აღებაზე მომუშავე თვითეული აგრეგატი.

მექანიზატორებისა და კოლმეურნეების შემოქმედებითი თანამეგობრობის საუკეთესო ნიმუშს იძლევა ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა, რომელმაც დროულად დააკომპლექტა საკვებმოპოვების სპეციალური ბრიგადა 67 კაცის შემადგენლობით. ბრიგადირი ვ. ტეგიაშვილი ბეჯითი, გამოცდილი მომუშავეა. იგი შემოქმედებითად წარმართავს ბრიგადის წევრთა შრომას, რომელიც ისეა ორგანიზებული, რომ გათიბული ბალახი გამრობისთანავე ბულულდება, გროვდება და იდგმება ზვინებად. კოლმეურნეთა დიდი დახმარება ხელს უწყობს სათიბი აგრეგატების შრომის ნაყოფიერების ამაღლებას. მექანიზატორებმა კოლმეურნეობას 900 ჰექტარზე აუღეს თივა.

მტს-ს განზრახული აქვს ივლისის ბოლოს ყველა სათიბი აგრეგატი გადაიყვანოს ბალახის მეორე თიბვაზე და 15 სამუშაო დღეში აიღოს 1.200 ჰექტარი ბალახი. ეს პირუტყვის საკვები რეზერვის გაზრდის მნიშვნელოვანი წყაროა.

მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში თივის დაცვას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გათიბვისთანავე. დაზვინული თივა მინდორში ბარდება საკვებმოპოვების ბრიგადის ბრიგადირს. ხანძრის თავიდან ასაცილებლად ზვინების გარშემო იხვნება. საერთოდ თივის გადატანა მეცხოველეობის სადგომებთან ზაფხულშივე ხდება. ამჟამად სადგომებთან უკვე გადატანილია 400 ტონაზე მეტი თივა.

ახლა, როცა ჩვენს რესპუბლიკაში გაჩაღებულია როგორც ბუნებრივი, ისე ნათესი ბალახის აღება, დიდი მნიშვნელობა აქვს ალაზნის მტს-ის მექანიზატორთა შესანიშნავი გამოცდილების ფართოდ დანერგვას საკოლმეურნეო წარმოებაში.

გ. ოკრუაშვილი.



ხილნაღის რაიონის სოფელ ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ფართოდ ინერგება საკვების დამზადების სამუშაოთა მექანიზაცია. სურათზე: ალაზნის მტს-ის ტრაქტორისტი ბ. ობოლაშვილი მუშაობს თივის შემგროვებელი მანქანით.

ფოტო შ. გოკაძისა.

საბჭოთა მთავრობის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი

24 ივნისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ა. ზორინმა მიიწვია ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი მოსკოვში ბ-ნი ჩ. ბოლენი და შემდეგი ნოტა გადასცა.

„საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შემდეგი განუცხადოს.

ამა წლის 23 ივნისს 4.00 საათზე ადგილობრივი დროით შავი ზღვის სანაოსნოს საბჭოთა ტანკერი „ტუაფსე“, რომელიც სანათი ნავთის ტვირთით ღია ზღვაში მიდიოდა კუნძულ ტაივანის სამხრეთით, გააჩერა ნაღმოსნის ტიპის სამხედრო ხომალდმა წერტში, რომლის კოორდინატებია ჩრდილოეთი განედის 19° 55' და აღმოსავლეთი გრძედის 120° 23', და იარაღის ხმარების მუქარით იძულებული გახდა შეეცვალა კურსი და გაყოლოდა ამ სამხედრო ხომალდს. ნაღმოსნის ტიპის სამხედრო ხომალდის თავდასხმის შესახებ ტანკერის კაპიტნისაგან ცნობის მიღების შემდეგ რადიოკავშირი ტანკერთან შეწყდა. საბჭოთა ხომალდისა და მისი ეკიპაჟის შემდგომი ბედი უცნობია.

სრულიად ცხადია, რომ საბჭოთა ტანკერის შეპყრობა სამხედრო ხომალდის მიერ წყლებში, რომლებსაც კონტროლს უწევს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტი, შეიძლებოდა განეხორციელებინათ მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალებს.

საბჭოთა მთავრობა მოელის, რომ შეერთებული შტატების მთავრობა ღია ზღვაში საბჭოთა სავაჭრო გემზე ამ თავდასხმასთან დაკავშირებით მიიღებს ღონისძიებებს გემის, მისი ტვირთისა და ეკიპაჟის დაუყოვნებლივ დასაბრუნებლად. ამავე დროს საბჭოთა მთავრობა მტკიცედ მოითხოვს სასტიკად დაესაჯონ ამერიკელი თანამდებობის პირები, რომელნიც ამ უკანონო აქტის ორგანიზაციის მონაწილე არიან, და მიღებულ იქნას ღონისძიებანი, რომელნიც გამორიცხავენ ასეთი მოქმედების განმეორების შესაძლებლობას, რაც უხეშად არღვევს ღია ზღვაში ნაოსნობის თავისუფლებას.

საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს, რომ მას არ შეუძლია გვერდი აუაროს ასეთ შეუწყნარებელ მოქმედებას და იძულებული გახდება მიიღოს სათანადო ღონისძიებანი ამ რაიონში საბჭოთა სავაჭრო გემების უსაშიშრო ნაოსნობის უზრუნველყოფად“.

ბ-ნმა ჩ. ბოლენმა აღუთქვა, რომ ნოტას გადასცემს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას.

საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების შეხამება სოციალიზმის დროს

საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების ჰარმონიული შეხამება სოციალიზმის დამახასიათებელია. იგი ააშკარავებს სოციალიზმის უპირატესობას კაპიტალიზმთან შედარებით.

საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების შეხამების მარქსისტულ-ლენინური გადაწყვეტა უდევს საფუძვლად კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებულ ღონისძიებებს საზოგადოებრივი შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის გაუმჯობესებისათვის, ხელფასის სწორი ორგანიზაციის, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების ზუსტად გატარების, სოციალისტური საკუთრების დაცვის უზრუნველყოფისათვის.

საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების სწორი შეხამება ჩვენში მოხდენილად არის გამოყენებული მშრომელი მასების შემოქმედებითი ინიციატივის გაშლისათვის, სამეურნეო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის სწრაფი ტემპებით მშენებლობისათვის.

* * *

კაპიტალიზმის გარიჟრაჟზე, ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისას ხალხში პოპულარობის მოსაპოვებლად, რევოლუციური ბურჟუაზიის იდეოლოგებმა წამოაყენეს თეორია პიროვნების თავისუფლების შესახებ, პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. მაგრამ ბურჟუაზიული იდეოლოგები, რომლებსაც კერძო საკუთრება წმიდათა-წმიდად მიაჩნდათ, უპირატეს როლს პირად ინტერესებს აკუთვნებდნენ. ბურჟუაზიული კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის ა. სმიტის აზრით, ეკონომიური ცხოვრების სამეურნეო მოღვაწეობის გამოსაყენებელ პუნქტს ეგოიზმი, პირადი ინტერესები შეადგენენ. კაპიტალიზმის პირობებში ეს ასეც ხდება. საწარმოო საშუალებათა კერძო საკუთრება თიშავს ადამიანებს ერთიმეორისაგან და აყენებს მათ ურთიერთისადმი მტრულ დამოკიდებულებაში. ცალკეულ კაპიტალისტები მოქმედებენ მხოლოდ და მხოლოდ პირადი ინტერესებისათვის — მოგების მიღებისათვის. ყოველი მათგანი ფიქრობს მხოლოდ თავის თავზე, იმაზე, რომ წაგლეჯოს სხვას და მითვისოს.

კაპიტალიზმის მთელი ისტორია ნათლად ადასტურებს კაპიტალისტების პირადი ეგოისტური ინტერესებისადმი ხალხთა მონურ დამორჩილებას. კაპიტალისტური წარმოების მიზანს წარმოადგენს მოგების მაქსიმუმის მიღება. ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი გვასწავლიან, რომ მაქსიმალური მოგების მიღების აუცილებლობა აიძულებს მონოპოლისტურ კაპიტალიზმს გადადგას ისეთი საბრისკო ნაბიჯები, როგორიც არის კოლონიებისა და სხვა ჩამორჩენილი ქვეყნების დაკაბალება და ძარცვა, ახალი ომების მოწყობა. დღეს ამერიკის იმპერიალიზმის მესვეურები არაფერს ზოგავენ იმისათვის, რომ მოაწყონ ახალი სისხლისღვრა, დაიმორჩილონ თავისუფლებისმოყვარე ხალხები, ხელთ იგდონ ახალი რესურსები და ბაზრები, მიაღწიონ მსოფლიო ბატონობას. ამას სჩადიან მხოლოდ და მხოლოდ პირადი გამდიდრებისათვის, მაქსიმალური მოგების მიღებისათვის. ბურჟუაზიული ეკონომისტები დღეს გაბედულად ეგრეთწოდებული „კერძო ინიციატივის“ შესახებ, „პირადი თავისუფლების“ შესახებ, მაგრამ სინამდვილეში ეს თავისუფლება მხოლოდ ფინანსური მაგნატების თავისუფლებაა — ყოველგვარი საშუალებებით იბრძოლონ გამდიდრებისათვის. ასეთი „თავისუფლების“ და „ინიციატივის“ შედეგია ერთი მხრივ ერთი მუჭა კაპიტალისტების გამდიდრება და მეორე მხრივ მშრომელთა ფართო მასების გაღატაკება. აი როგორია პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების „შეხამება“ კაპიტალიზმის დროს.

* * *

მარქსი და ენგელსი „კომუნისტურ მანიფესტში“ სასტიკად ჰკიცხავდნენ ყველას, ვინც ბრალს სდებდა კომუნისტებს იმაში, რომ თითქოს ისინი წინააღმდეგი იყვნენ პირადი შრომით შეძენილი საკუთრებისა. მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლები ყოველთვის ხაზს უსვამდნენ იმას, რომ პიროვნების ყოველგვარი თავისუფლება და მისი უნარის გაფურჩქნა შესაძლებელია მხოლოდ სოციალისტური წარმოების პირობებში. სოციალიზმი ათავისებს ინდივიდუალურ ინტერესებს კოლექტიურ ინტერესებთან. პირადი ინტერესების სრული დაკმაყოფილება შეიძლება მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებაში. ეს დაკანონებული და გარანტირებული სსრ კავშირის კონსტიტუციით.

სოციალიზმის დროს საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების სწორი შეხამება ობიექტური აუცილებლობაა. იგი განპირობებულია სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობით, რომლის საფუძველს საწარმოო საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება შეადგენს. სოციალისტური საკუთრება აერთიანებს ადამიანებს და ქმნის თვისებრივად ახალ დამოკიდებულებას ადამიანებს შორის წარმოების პროცესში, ამხანაგური თანამშრომლობისა და სოციალისტური ურთიერთდახმარების ურთიერთობას. საბჭოთა ადამიანი შრომობს თავისთვის და საზოგადოებისათვის. შრომისადმი საზოგადოებრივი ინტერესი შეხამებულია პირად მატერიალურ დაინტერესებასთან. ის, რაც საზოგადოებრივი ხარჯების დასაფარავად და დაგროვების სასარგებლოდ იხდი, ამავე ტაბლეში ბალახის ბალახის ბალახის

წერილები რედაქციას

საქმე ქაღალდებს ვერ გასცილდა

ოჩხამური საკმაოდ ცნობილია ჩვენს რესპუბლიკაში. აქ არის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, რომელიც დიდი სტალინის სახელს ატარებს. აქვეა ჩაის მძლავრი ფაბრიკა, ტუნგოს ზეთსახდელი და აგურ-კრამიტის ქარხნები.

საბჭოთა მეურნეობის და საწარმოთა კოლექტივები მაღალნაყოფიერად შრომობენ და ღირსეულად იხდიან ვალს სოციალისტური სამშობლოს წინაშე. მაგრამ მეურნეობაში მუშების, მოსამსახურეებისა და სპეციალისტების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეში ყველაფერი როდია რიგზე. დღემდე ვერ შეძლეს სასმელი წყლის გამოყვანა. ვინ მოთვლის რამდენჯერ ჩამოსულა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროდან სპეციალისტთა ბრიგადა, გამოუკვლევია წყალსადენის გაყვანის ადგილი, შეუდგენია სქემები და პროექტები, მაგრამ საქმე ქაღალდებს ვერ გასცილდა.

არის სხვა „წვრილმანებიც“. საბჭოთა მეურნეობაში დღემდე არა აქვთ კლუბის შესაფერი შენობა, რის გამო შეუძლებელი ხდება საწრეო მუშაობის ჯეროვან დონეზე დაყენება. პირველი აგროფეხის დასახლების პუნქტში გაყვანილი არ არის რადიო. ნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი საბინაო მშენებლობას, სასადილოში ცუდი ხარისხის კერძები მზადდება.

საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს და თვით საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელები მოვალენი არიან იზრუნონ ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა აღკვეთისათვის.

ტ. ტრაპაიძე.

გადაუხდელი ვალი და უპასუხისმგებლო მუშაკები

1951 წლის 4-დან 25 ივნისამდე ქუთაისის მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი საგასტროლოდ იყო ბათუმში. სპექტაკლები იმართებოდა საქართველოს სსრ ფილარმონიის ბათუმის განყოფილების საზაფხულო თეატრში.

გასტროლების დამთავრების შემდეგ თეატრსა და ფილარმონიის განყოფილებას შორის ანგარიშები დახუსტდა. გამოირკვა, რომ ფილარმონიისაგან თეატრს 9.083 მანეთი და 83 კაპიკი ერგებოდა.

გავიდა დღეები, კვირეები, თვეები, საქფილარმონიის ბათუმის განყოფილებაში კი ერთხელაც არ გახსენებიათ ვალის გადახდა. მესხიშვილის სახელობის თეატრის დირექციამ მრავალჯერ მიმართა მას აღნიშნულ საქმეზე, მაგრამ პასუხი არ მიუღია. ეს უკანასკნელი იძულებული გახდა მიემართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟისათვის.

1952 წლის 16 მაისს სახელმწიფო არბიტრაჟმა განიხილა ეს საქმე და თეატრის დირექციის მოთხოვნა მართებულად ცნო. ფილარმონიის ბათუმის განყოფილებას გადასახდელად დაეკისრა 9.083 მანეთი და 83 კაპიკი.

ორი წელიწადი გავიდა, მიწერ-მოწერაზე მრავალი თაბახი ქაღალდი დაიხარჯა, შედეგი კი არა ჩანს. ფილარმონიის ბათუმის განყოფილების მუშაკები ყურსაც არ იბერტყავენ. მათსავით ბიუროკრატულად უდგება საქმეს სახელმწიფო ბანკის აჭარის რესპუბლიკური კანტორა, რომელსაც უკანასკნელად თეატრის დირექციამ მიმართა. აღნიშნული კანტორის მმართველი მგელაძე ზედიზედ გზავნის სტანდარტულ პასუხებს ქუთაისში, თეატრის დირექციის მისამართით: „თანხა წესისამებრ აგინაზღაურდებათო“.

საქმისადმი ფილარმონიის ბათუმის განყოფილების ხელმძღვანელთა ბიუროკრატული დამოკიდებულების გამო უამრავი ქაღალდი და დრო დაიხარჯა. ვფიქრობ მათ მიმართ მიღებული იქნება საჭირო ზომები.

მ. მეფარიშვილი,
ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო თეატრის დირექტორი.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

ლანჩხუთის რაიონიდან გამოგზავნილ კორესპონდენციაში ჩვენი გაზეთის მკითხველი ამხ. გ. მურთანიძე იტყობინებოდა სოფელ ჯურუყვეთის საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივნის ამხ. ვ. გოგუას უკანონო მოქმედების შესახებ. კორესპონდენცია ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის რაიკომს.

როგორც რაიკომის მდივანი ამხ. დ. მანჭაკა გვატყობინებს, კორესპონდენციაში მოყვანილი თელი რიგი ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. რაიკომის ბიუროს ჯურუყვეთის საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციის ბიუროს მდივანს ამხ. გ. გოგუას კოლმეურნეობის გამწევი ძალის ქირის დროზე გადაუხდელობის, კოლმეურნეობიდან 70 ცალი შიფერისა და 1 ცალი ხის მორის სესხად წაღებისათვის გამოუცხადა საყვედური საგრიცხვო ბარათში შეტანით, ხოლო კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს ამხ. ხოფერიას კოლმეურნეობის კუთვნილი შიფერისა და ხის მორის გასესხებისათვის მიუთითა.

კოლმეურნეობის გამწევი ძალით სარგებლობისათვის დაწესებული ქირა. სესხად წაღებული 70 ცალი შიფერი და 1 ცალი ხის მორი გ. გოგუამ ანაზღაურა.

• • •

ჩვენი გაზეთის მკითხველი თავის წერილში ამხილებდა ცეკავშირის კვების კომბინატის დირექტორის ნადარეიშვილისა და უფროს ბუხჰალტრის პეტრიაშვილის დანაშაულებრივ ნოქმედებას.

როგორც ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. მ. ნარსია გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. შედეგები განიხილა ცეკავშირის გამგეობამ. დასახა ღონისძიება გამოვლინებული დარღვევების აღმოფხვრისათვის. კვების კომბინატის დირექტორს ამხ. ნადარეიშვილს და უფროს ბუხჰალტერს ამხ. პეტრიაშვილს საშტატო სხარჯთაღრიცხვო და სალაროს დისციპლინის დარღვევისა და უკანონო ხარჯების გაწევისათვის გამოეცხადათ საყვედური. მათვე დაეკისრათ ყოფილ უფროს ბუხჰალტერ-კალკულატორ კამულარიასათვის უკანონოდ მიცემული 1.417 მანეთისა და 92 კაპიკის ანაზღაურება.

გორის რაიონში

ზრუნვა მექანიზატორებისათვის

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შემდეგ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ტყვიავის მტს-ის მექანიზატორთა საყოფაცხოვრებო პირობები. მტს-ს გადაეცა ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი. ბინები მიიღეს მექანიკოსებმა თ. რაკოვმა, ზ. გოჩიაშვილმა, აგრონომმა ა. იჩქითმა, მტს-ის სახელოსნოს გამგემ მ. განჯელაშვილმა და სხვებმა.

საკარმიდამო ნაკვეთები მიეცათ აგრონომ-ენტომოლოგს პ. ჩიხლაძეს, ტრაქტორისტებს ნ. დარბუაშვილს, ე. ხუბაშვილს და მტს-ის ნავთობბაზის გამგეს ბ. ბუტაურს. გამოყოფილია კრედიტები ინდივიდუალური ბინათმშენებლებისათვის.

მტს-თან გაიხსნა კეთილმოწყობილი სასადილო.

სოფლების რადიოფიკაცია

რაიონში ყოველწლიურად ფართოვდება რადიოქსელი. მარტო მიმდინარე წელს რადიოფიცირებულია ოთხი კოლმეურნეობა.

წლის ბოლომდე რადიო გაყვანილი იქნება სოფლების ვარიანის, ფლავისა და საქაშთის კოლმეურნეობებში. საკოლმეურნეო რადიოკვანძი აიგება მთის სოფელ ბოშურში.

წყალსადენი კოლმეურნეობაში

ახლახან სოფელ ტინისხიდის კოლმეურნეობა „განთიადის“ წევრებმა მიიღეს „საანაურის წყაროს“ სუფთა, გემრიელი წყალი. წყალსადენის სიგრძე 6 კილომეტრია, მშენებლობა 135 ათასი მანეთი დაჯდა. მარტო სოფელ ტინისხიდში წყალსადენს ოთხი სადინარი აქვს.

მოწინავე ავტოასეული

„სოიუზზაგოტტრანსის“ საქართველოს ავტოტრესტის გორის ავტოასეულს მარტის მუშაობის მიხედვით მიეკუთვნა საქართველოს ავტოტრესტის და ავტოტრანსპორტის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია.

მარტში ავტოასეულმა გეგმით გათვალისწინებული 3.400 ტონის ნაცვლად 8.000 ტონა ტვირთები გადაიტანა, ათასი ლიტრი საწვავი დაზოგა და თვითეული ტონის გადატანის თვითღირებულება 33 პროცენტით შეამცირა.

მოწინავე მძღოლები გ. ხანიაშვილი, დ. ჩუტკერაშვილი, გ. კუპრაშვილი, პ. ზაბუღაკი და უ. ბინაზაროვი ყოველდღიურ დავალებებს ორ-სამმაგად ასრულებენ.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ახალი კინოჟურნალები

თბილისის კინოსტუდიამ „ქართულმა ფილმმა“ დედაქალაქის ეკრანებზე გამოუშვა ახალი ჟურნალები „საბჭოთა საქართველო“ № 17 და № 18.

„საბჭოთა საქართველო“ № 17 (რეჟისორი ვ. ალავიძე) იწყება ავჭალის შუშის ქარხნის ჩვენებით. ეკრანზეა ბოთლების ავტომატური ჩამოსხმა, ქარხნის ლაბორატორიები, სადაც წარმოვებს გამოშვებული პროდუქციის ხარისხის შემოწმება. შემდეგი კადრები ასახავენ საგაზაფხულო სამუშაოებს სოფლად. ნაჩვენებია სამტრედიის რაიონის კოლმეურნეობებში სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი თესვა, კომბოსტოს კულტივაცია. ჟურნალი გადმოგვცემს თბილისის ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაობას. დასასრულ ნაჩვენებია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერ მუშაკთა სახლის მშენებლობა და საქართველოს საბჭოთა მხატვრების 1953 წლის ნამუშევრების რესპუბლიკური გამოფენა.

ჟურნალი „საბჭოთა საქართველო“ № 18 (რეჟისორი ო. ჭიაურელი) იხსნება ლვოვის მ. ზანკოვეცკაიას სახელობის უკრაინული დრამატული თეატრის ჩამოსვლით თბილისში. შემდეგ მაყურებელი ხედავს ქართლის ბაღებში გაჩაღებულ საგაზაფხულო სამუშაოებს. დასასრულ ნაჩვენებია შრომითი რეზერვების სასწავლებლებისა და სკოლების მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების მე-12 რესპუბლიკური დათვალიერება.

საერთაშორისო თემაზე

ტაილანდი ამერიკის იმპერიალიზმის სიტყვაში

კორეაში სამხედრო ინტერვენციის ჩაფუშვის შემდეგაც ამერიკის აგრესიული წრეები ხელს ჯრ იღებენ თავიანთ ბნელ ზრახვებზე, ემზადებიან ახალი ავანტიურებისათვის. ამჟამად მათ მთელი თავიანთი ყურადღება გადაეკვეთ ინდოჩინეთზე. ისინი მას განიხილავენ, როგორც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ეროვნულ-განმთავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობისათვის ომის პლაცდარმს, როგორც ულეველი ბუნებრივი რესურსების ქვეყანას და გასაღების ბაზარს. პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა განაცხადა, ინდოჩინეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია ამერიკას როგორც სტრატეგიული, ისე პოლიტიკური და ეკონომიური თვალსაზრისით სჭირდებაო. „ვივარაუდოთ,— თქვა მან, — რომ ჩვენ დაკარგეთ ინდოჩინეთი... კალა და ვოლფრამი, რომლებსაც ასე დიდად ვიფასებთ, აღარ მოგვივა ამ რაიონებიდან“.

სწორედ ამიტომ არის, რომ ამერიკელი იმპერიალისტები აშკარად ეოვენან ინდოჩინეთის ომში, აფინანსებენ ახალ სამხედრო ღონისძიებებს, აძლიერებენ იარაღის მიწოდებას, გზავნიან შეიარაღებულ ძალებს, ფლოტს და ავიაციას, რათა სისხლში ჩაახრჩონ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ვიეტნამში, პატეტ-ლაოში, კხმერში, ისინი ცდილობენ შეცვალონ ფრანგი კოლონიზატორები და უშუალოდ გაუწიონ ხელმძღვანელობა საომარ ოპერაციებს.

საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირზე ამერიკის დელეგაცია დაჟეჟილი ინდოჩინეთის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების წინააღმდეგ. იგი, მიუხედავად წარუმატებლობისა, ყოველნაირად ცდილობს ჩაშალოს ჟენევის თათბირი და გააფართოოს ომის ხანძარი ინდოჩინეთში. ამერიკელი დიპლომატები ყოველნაირად ცდილობენ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში შეაკოწიწონ ახალი აგრესიული ბლოკი. ამ ბლოკში, მათი აზრით, უნდა შევიდნენ საფრანგეთი, ინგლისი, ავსტრალია, ახალი ზელანდია, ფილიპინები, ტაილანდი და ინდოჩინეთის მარიონეტული მთავრობები. აქტიურ როლს აკუთვნებენ ლი სინ მანისა და ჩან კაი-შის ბრბოვას, განსაკუთრებით კი ტაილანდს.

შემთხვევითი როდია, რომ ტაილანდის წარმომადგენელი ჟენევის თათბირზე აშკარად გამოდის ამერიკის მხარეზე. როგორც პრესა იუწყებოდა, ამ დღეებში ამერიკის კარნახით ტაილანდის მთავრობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მომართა თხოვნით განეხილა ინდოჩინეთის საკითხი. ამ მოთხოვნის მიზანი იყო ჟენევის თათბირის ჩაშლა და ინდოჩინეთში ომის გაფართოება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმით.

3 ივნისს გაიმართა უშიშროების საბჭოს სხდომა. საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ლარაპკინმა აღნიშნა, რომ არაერთგზის საჭიროებას არ წარმოადგენს უშიშროების საბჭომ განიხილოს ტაილანდის მიერ წამოყენებული საკითხი. ამ საკითხის განხილვა არათუ ხელს არ შეუწყობს ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის საკითხის გადაწყვეტას, არამედ შეიძლება ხელი შეუშალოს მის წარმატებით გადაწყვეტას საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირზე.

უშიშროების საბჭომ გადასდო ტაილანდის დელეგაციის მიერ შეტანილი საკითხის განხილვა.

18 ივნისს კი უშიშროების საბჭომ დაამთავრა ტაილანდის განცხადების განხილვა, რომელიც ნოთბოოდა შექმნილიყო უშიშროების საბჭოსთან ინდოჩინეთის საზღვარზე მდგომარეობისადმი მეთვალყურეობის კომისია. ამ მოთხოვნას მხარი დაუჭირა 9 დელეგაციამ. მის წინააღმდეგ გაილაშქრა საბჭოთა დელეგაციამ. თავი შეიკავა ლიბანის დელეგაციამ. ამრიგად რეზოლუცია არ იქნა მიღებული.

ტაილანდის ამ წინადადების შესახებ ვ. მ. მოლოტოვმა ჟენევის თათბირზე თავის 8 ივნისის გამოსვლაში აღნიშნა, რომ მისი მიზანია წინასწარ მოამზადოს რამეს საბაბი ინდოჩინეთის საშინაო საქმეებში ფორმალურად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ხოლო ფაქტიურად ამერიკის შეერთებული შტატების ჩასარევად.

ამერიკელმა ომის გამჩაღებლებმა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ომის პლაცდარმად კარგი ბანია ტაილანდი (სიამი) აირჩიეს. ეს გასაგებიც გახდება, თუ გავითვალისწინებთ ამ ქვეყნის სტრატეგიულ მდებარეობას. იგი ფართო ფრონტით ესაზღვრება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, პატეტ-ლაოს, კხმერს, მალაიას, ბირმას, იქ გადის მნიშვნელოვანი გზები.

უოლ-სტრიტის მაგნატებს ფართოდ გაუღია კარი ტაილანდის რეაქციულმა სამხედრო ხროვამ პიბულ სონგრამის მეთაურობით. ეს მთავრობა სულით და ხორცით მიეყიდა ამერიკელ აგრესორებს და ყველაფერს აკეთებს მათი ხარბი მადის დასაკმაყოფილებლად. ამერიკელთა კარნახით ტაილანდის მთავრობა ეწევა გამალებულ შეიარაღებას, ეკონომიკის მილიტარიზაციას. დაჩქარებით წარმოებს ახალი დივიზიების დაკომპლექტება და გაწვრთნა. მათს სამხედრო სწავლებას უშფოთავენ ამერიკელი ინსპექტორები ხელმძღვანელობენ. გაჰყავთ ახალი გზები პატეტ-ლაოს, კხმერის, მალაიისა და ბირმის მიმართულებით. საზღვრებთან აგებენ აეროდრომებს, სამხედრო საწყობებს, თავს უყრიან ჯარებს, ერთი სიტყვით, ყოველნაირად ემზადებიან მეზობელ ქვეყნებში შესაჭრელად იმ შემთხვევაში, თუ ამის შესაძლებლობა მიეცემათ.

მიმდინარე წლის თებერვალსა და მარტში ინდოჩინეთის საზღვრებთან მოეწყო დიდი მანევრები. მასში მონაწილეობას იღებდნენ ტაილანდის სახმელეთო, საჰაერო და პოლიციური ნაწილები. მას ესწრებოდნენ ამერიკელი სამხედრო მეთვალყურეები, პატეტ-ლაოს მარიონეტული მთავრობის სამხედრო მისია. სიამის უბეში მოეწყო აგრეთვე სამხედრო-საზღვაო ფლოტის მანევრები, რომელშიც მონაწილეობდნენ ამერიკის ნაღმოსნები.

ტაილანდის ტერიტორიაზე წარმოებს ჩან კაი-შის ბანდების მომზადება და ბირმაში გადაყვანილ მოქმედი ნაწილების დასახმარებლად, აქედან ხდება დაკავშირება ტაივანთან, სადაც ჩან კაი-შის მთავარი ბანაკია.

ახლა ამერიკის შეერთებული შტატებიდან ტაილანდში მოელინან ინსტრუქტორთა სპეციალური ჯგუფის, რომელიც იმუშავებს პოლიციური კორპუსების გასაწვრთნელად. გათვალისწინებულია საჰაერო და საზღვაო ძალების გადიდება. ამას წინათ ამერიკელებმა „დახმარების“ ანგარიშში პიბულ სონგრამის მთავრობას გადასცეს ოთხი სამხედრო გემი. ტაილანდის საშუალებით დიდძალი ამერიკული იარაღი ეგზავნებათ პატეტ-ლაოსა და კხმერის მარიონეტულ მთავრობებს.

როგორც პრესა იუწყება, ამერიკა ყოველნაირად ახდენს ზეგავლენას ტაილანდის მთავრობაზე, რათა დაიჩქაროს საომარი მზადება. ტაილანდის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ სარტ ტანარატმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მჭიდრო კონტაქტს ამყარებენ ტაილანდის ხელისუფლებასთან ინდოჩინეთში ომის გაძლიერებასთან დაკავშირებით, ამასთან დასძინა, რომ შეერთებულმა შტატებმა უზრუნველყოფს ტაილანდის შეიარაღებული ძალები ახალი სახის იარაღითა და საჭურვლით. კვალიფიკაციის ასამაღლებლად ამერიკაში დიდი რაოდენობით არიან გაგზავნილი მფრინავები. ისინი წვრთნას გადიან რეაქტიულ თვითმფრინავებზე. უამრავი თანხები იხარჯება ტაილანდის ნავსადგურების გასაფართოებლად და გასაღიდებლად, რათა მათ შეძლონ ამერიკული გემების დიდი რაოდენობით მიღება. ფართოვდება სამხედრო-საზღვაო ბაზა სატახიპი, რომელიც ამერიკის მეშვიდე ფლოტის ადგილსამყოფელი უნდა გახდეს. ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეები ამასაც არ სჯერდებიან. ისინი მოლაპარაკებას აწარმოებენ პატეტ-ლაოს და კხმერის მარიონეტულ მთავრობებთან და ტაილანდთან „ბუდისტური ბლოკის“ შესაქმნელად, რომელიც უნდა წარიმართოს ინდოჩინეთში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად.

ტაილანდის არმიის გენერალური შტაბის უფროსმა უტიფრად განაცხადა, ჩვენ უარს არ ვიტყვით, თუ „თავისუფალი სამყაროს“ ქვეყნები საჭიროდ დაინახავენ ტაილანდის ტერიტორია სამხედრო ბაზად გამოიყენონო.

ტაილანდი სხვა მხრივაც იზიდავს ამერიკელ იმპერიალისტებს, ეს ქვეყანა დიდია ტერიტორიითაც და მოსახლეობითაც. მას უჭირავს 518 ათასი კვადრატული კილომეტრი ტერიტორია, ხოლო მოსახლეობა თვრამეტ მილიონ კაცს აღიმატება. ტაილანდი მეტად მდიდარია ნოყიერი ველებით, ტროპიკული მცენარეულობით, წაღლინსულით, ცხოველთა სამყაროთი. სოფლის მეურნეობის ძირითადი კულტურებია: ბრინჯი, კაუჩუკი, [illegible] ბამბა და სხვა. [illegible] ძვირფასი ქვები. ეს სიმდიდრე ბელში ჰქონდათ ჩაგდებული ფრანგ და ინგლისელ კაპიტალისტებს. ისინი ამ ბოლო დროს ამერიკელმა მონოპოლისტებმა შეავიწროეს და თითონ გაბატონდნენ ტაილანდის ეკონომიკაში.

1950 წელს ამერიკამ ტაილანდთან დადო ხელშეკრულება „ეკონომიური და ტექნიკური დამმარების შესახებ“. ამ დროიდან მომრავლდნენ ამერიკელი სპქმოსნები, რომლებიც აქ თავს ისე გრძნობენ, როგორც საკუთარ ქვეყანაში.

ტაილანდის ექსპორტის მთავარი საგანია კაუჩუკი. მეორე მსოფლიო ომის წინ მას გაჰქონდა 40 ათასი ტონა კაუჩუკი. ამ ბოლო ხანებში ამერიკელებმა შეამცირეს კაუჩუკის შესყიდვა. ამით კაუჩუკის პლანტაციებში მომუშავე 30 ათასზე მეტ სასოფლო-სამეურნეო მუშას წაერთვა სამუშაო. ვინც სამუშაოზე დარჩა, მათ ხელფასი სამჯერ შეუმცირდათ.

ტაილანდში მრეწველობა ძლიერ სუსტად არის განვითარებული. ამიტომ ბრინჯის ექსპორტი კაუჩუკისა და კალის ექსპორტთან ერთად სახელმწიფო შემოსავლის მთავარი წყაროა, მაგრამ მისი გატანა დიდად არის შეზღუდული. ამერიკული კომპანიები ტაილანდს უკრძალავენ საბჭოთა კავშირთან, ჩინეთთან, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან ვაჭრობას. ეს კი იწვევს ეკონომიკის მოშლას, ოკრის მარაგის გამოლევას, მშრომელთა მდგომარეობის გაუარესებას. პარლამენტის ზოგიერთი დეპუტატის აზრით, თუ არ გაუმჯობესდა საგარეო ბაზრების მდგომარეობა, იძულებული გახდებიან ბრინჯი სათბობად გამოიყენონ.

ტაილანდის რეაქციული მთავრობა ხალხის ინტერესების საზიანოდ ყველაფერს აკეთებს ამერიკელი ბატონების სასაბმელად. ამერიკელთა თვრეშმა მოსახლეობას არნახული სიღატაკე და გაჭირვება მოუტანა. ასეთელ ათასობით ადამიანი შიმშილობს, არა აქვს სამუშაო, საცხოვრებელი ბინა. დედაქალაქ ბანგკოკში, სადაც მილიონზე მეტი მცხოვრებია, მოსახლეობის 10 პროცენტზე მეტი მდინარეზე ნავებში ცხოვრობს. ყოველწლიურად მარტო მალარიისაგან იტანჯება 3 მილიონი კაცი, ხოლო ამ სენით კვდება 50 ათასი. შრომის საერთაშორისო სტატისტიკური ბიუროს მონაცემებით, ცხოვრების ღირებულება ტაილანდში 1938-1951 წლებში 14-ჯერ გაიზარდა.

უფრო აუტანელ პირობებში ცხოვრობს ტაილანდის გლეხობა. დიდ უმრავლესობას არ გააჩნია მიწა, იძულებულია იგი მემამულეებისაგან აიღოს და მოსავლის ნახევარზე მეტი ოჯახში გადაიხადოს. მოსავლის დანარჩენი ნაწილი სხვა გადასახადებს უნდება.

ტაილანდის მშრომელები კარგად ხედავენ, თუ რა მოაქვს მათთვის ამერიკელთა და მათ მარიონეტთა ბატონობას. დღითიდღე იზრდება მშრომელთა პოლიტიკური შეგნებულობა და აქტიურობა. მუშები, გლეხები, მშრომელი ინტელიგენცია ერთიანდებიან დემოკრატიულ ორგანიზაციებში, ხმას იმაღლებენ ადამიანური უფლებებისათვის. ძლიერდება საგაფიცო მოძრაობა, ეწყობა უცხოელთა ბატონობის წინააღმდეგ მიმართული გამოსვლები, დემონსტრაციები. ომის ნაწინააღმდეგო მოძრაობაში მონაწილეობენ ქალები, სტუდენტები, მოსწავლეები.

რეაქციული მთავრობა ყველა ზომას იღებს იმისათვის, რომ ჩაახშოს ტაილანდის მშვიდობისმოყვარე ხალხის მისწრაფება მშვიდობისადმი, თავისუფლებისა და დემოკრატიისადმი. მთავრობის ტერორის მიუხედავად, მოსახლეობის ახალი და ახალი ფენები ებმებიან მშვიდობისათვის მოძრაობაში. მათ სათავეში უდგას ტაილანდის კომუნისტური პარტია, რომელიც მედგრად იბრძვის ომის პლაცდარმად თავისი ქვეყნის გადაქცევის წინააღმდეგ.

ტაილანდის ხალხი თავის ხმას უერთებს ინდოჩინეთისა და მთელი აზიის ხალხების, მთელი პროგრესული კაცობრიობის მოთხოვნას, რათა ჟენევის თათბირზე ერთხელ და სამუდამოდ მოწესრიგდეს ინდოჩინეთის საკითხი, შეწყდეს საომარი მოქმედება, მშვიდობიანად გადაიჭრას ყველა სადავო საკითხი, შენელდეს საერთაშორისო დაძაბულობა, ხალხთა შორის განმტკიცდეს მეგობრობა და ურთიერთთანამშრომლობა.

კ. ჯოხიძე.

დავაჩქაროთ ჩაის კრეფის მექანიზაციის განხორციელება

1949 წლიდან თბილისში ჩამოყალიბდა და მუშაობას შეუდგა სპეციალური სახელმწიფო საკონსტრუქტორო ბიურო, რომელსაც დაკისრებული აქვს სხვადასხვა მანქანების შექმნა ჩაის, ტუნგოს და ციტრუსოვანი კულტურების მეურნეობებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის განსახორციელებლად. ამ ბიუროს კოლექტივის მთავარი ამოცანა იყო და არის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემის — ჩაის დუყების კრეფის მექანიზაციის საკითხის დადებითად გადაჭრა.

ჩაის კრეფა, როგორც ცნობილია, მეტად შრომატევადი სამუშაოა. მსოფლიოში ჯერ არ არის ცნობილი ჩაის კრეფის მექანიზაციის სამუალება. ჩაის კრეფის მექანიზაციის განხორციელება რთული, ძნელი ამოცანაა. მისი გადაჭრა სრულიად ახალი სიტყვა იქნებოდა ტექნიკაში და შეიძლებოდა სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს არსებობა საკვლევით გამართლებულად მიგვჩნია, თუ ეს ბიურო ამ ამოცანას გადაჭრიდა. მაგრამ, თითქოს ჩაის კრეფის მექანიზაცია ბიუროს დასატვირთავად არ კმარაო, ბიუროს ახალი დავალება მისცეს, მეორე „პროფილიც“ მიუმატეს — სამთო მიწათმოქმედების მექანიზაციის საკითხის გადაჭრის ამოცანა დააკისრეს.

სამთო მიწათმოქმედების მექანიზაცია, რასაკვირველია, მეტად მნიშვნელოვანია, ეს დიდი საქმეა, საჭირო და სასწრაფოდ გადასაჭრელი საქმეც, მაგრამ გაკვირვებას ის იწვევს, რომ ორივე ამ დიდ პრობლემაზე მუშაობა ერთდროულად დაავალეს საკონსტრუქტორო ბიუროს. თუმცა ბიუროს ძირითადი ამოცანა — ჩაის კრეფის მექანიზაციის გადაჭრა — ჯერ ისევ შეუსრულებელი იყო.

რატომ მოხდა ასე?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: ჯერ კიდევ მანამდე, სანამ საკონსტრუქტორო ბიუროს კოლექტივს სამთო მიწათმოქმედების მექანიზაციის საკითხზე მუშაობას დააკისრებდნენ, ბიუროს მაშინდელმა ხელმძღვანელობამ კონსტრუქტორთა წამყვანი ძალები, თითქმის ყველა ლაბორატორია გადაიყვანა მთისა და ვაკე ადგილების პირობებისათვის შესაფერისი ტრაქტორების შექმნისათვის მუშაობაზე. ამის შედეგად საკონსტრუქტორო ბიუროს ძირითადი ამოცანა — ჩაის კრეფის მექანიზაციის განხორციელებისათვის ზრუნვა თითქმის მივიწყებულ იქნა. კონსტრუქტორთა მხოლოდ ერთი ვიწრო ჯგუფი მუშაობდა ჩაის საკრეფი ერთად-ერთი მანქანის შესაქმნელად, მუშაობდა დამოუკიდებლად, გამიჯნულად, კოლექტივის შემოქმედებითი აზრისათვის ანგარიშგაუწევლად.

საკონსტრუქტორო ბიუროს ყოფილი ხელმძღვანელი შ. კერესელიძე ნერგავდა მუშაობაში პარალელიზმს, პირად ინტერესებს უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე საზოგადოებრივ ინტერესებს. ყოველივე ამის შედეგად მივიღეთ სავალალო მდგომარეობა — მექანიზაციის საკითხების გადაჭრის გაჭიანურება, ინჟინერ-ტექნიკოსთა შემოქმედებითი აზრის წინსვლის შეფერხება, მანქანის შექმნის საქმეში კონსტრუქტორის როლის შეუფასებლობა.

საკონსტრუქტორო ბიუროს ძველი ხელმძღვანელების მანკიერი მუშაობის გამო მთავარი ყურადღება გადატანილი იქნა ჩაის ბუჩქის გასასხლავი მანქანების შექმნაზე. ამავე დროს ჩაის ბუჩქის გასხვლის მექანიზაცია (ამ დარგში მექანიზაციის განხორციელება, ცხადია, არ არის ცუდი საქმე) როდი ითვლება პრობლემატურ საკითხად. გასხვლის დროს მეჩაიეობის რაიონში არც თუ ისე მწვავედ განიცდიან მუშახელის სიმცირეს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მუშაობა მაინც ინტენსიურად წარიმართა ამ გზით და შექმნილ იქნა ჩაის ბუჩქის გასასხლავი ოთხი სხვადასხვა ტიპის მანქანა. ამავე დროს ჩაის კრეფის მექანიზაციის განსახორციელებლად კონსტრუქტორთა მხოლოდ ერთი ვიწრო ჯგუფი განაგრძობდა მუშაობას. მათ ძლივს შეძლეს ერთადერთი ტიპის ჩაის საკრეფი მანქანის აგება, რომელიც ამავე დროს სრულიადაც არ აღმოჩნდა სრულყოფილი.

ჩაის საკრეფი მანქანის თაობაზე ზოგი წინდაუხედავი ხელმძღვანელი მუშაკის წყალობით ატყდა დიდი ხმაური, შეიქმნა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ჩაის კრეფის მექანიზაციის განხორციელების საკითხი ჯერ კიდევ 1951 წელს იყო გადაჭრილი. მაგრამ ხმაური ნაადრევი გამოდგა, რეკლამამ საქმეს ვერ უშველა, ახლად კონსტრუირებულმა მანქანამ ვერ დააკმაყოფილა აგროტექნიკური მოთხოვნილებანი.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სახელმწიფო სპეციალურმა საკონსტრუქტორო ბიურომ თავისი 4 წლის არსებობის მანძილზე ვერ გაამართლა თავისი ძირითადი დანიშნულება, სახელმწიფოს მიერ ამ ბიუროს შენახვისათვის გაწეული ხარჯი. ეს მოხდა იმიტომ, რომ დღემდეც კი საკონსტრუქტორო ბიუროს მუშაობის საკითხი არ განხილულა არსებითად, არ ყოფილა დასახული და განხორციელებული ღონისძიებანი საკონსტრუქტორო ბიუროს მუშაობის გასაჯანსაღებლად, კვლევა-ძიებითი და შემოქმედებითი მუშაობის სწორი გზით წარმართვის უზრუნველსაყოფად.

სპეციალურმა საკონსტრუქტორო ბიურომ თავისი არსებობის მანძილზე მრავალი ათი მილიონი მანეთი სახალხო თანხა დახარჯა, ხოლო ეს ხარჯი ქვეყანას ვერ გაუმართლა. იმისათვის, რომ მომავალშიც არ გაგრძელდეს ასე მუშაობა, ბოლო მოეღოს სახელმწიფო სახსრების უშედეგო ხარჯვას და ჩაის კრეფის მექანიზაციის საკითხიც მოკლე ხანში გადაიჭრას, საჭიროა საკონსტრუქტორო ბიუროს შემდგომი მუშაობის საკითხის შესწავლა, ბიუროს კოლექტივისათვის სწორი და გარკვეული მიზნის დასახვა.

უკვე შექმნილ ერთადერთ საკრეფ მანქანაში უთუოდ არის მიგნებული რაღაც ახალი, მაგრამ იმისათვის, რომ ეს მანქანა სრულყოფილი იყოს, საჭიროა ხანგრძლივი და ბეჯითი კოლეგიური მუშაობა, შემოქმედებითი აზრის კოორდინაცია წამოჭრილი მთელი რიგი საკითხების გადასაჭრელად. საჭიროა ამ საქმეს ამთავითვე ჩამოვაშოროთ ის სპეციალისტები, რომლებსაც მანქანის შექმნა არ აინტერესებთ, გაურბიან კოლექტიურ მუშაობას და პირადი ინტერესებით არიან გატაცებულნი.

ჩაის დუყების საკრეფი მანქანის შექმნა უთუოდ დიდი და უაღ

მოლაპარაკება ჯოუ ენ-ლაისა და მენდეს-ფრანსს შორის

პარიზი, 23 ივნისი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო ბერლინდან იუწყება:

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჯოუ ენ-ლაი დღეს ჩამოვიდა ბერლინში საფრანგეთის საელჩოში. მაშინვე დაიწყო საუბარი მასსა და საფრანგეთის პრემიერ-მინისტრ მენდეს-ფრანსს შორის.

როგორც პარიზის რადიო იუწყება, მენდეს-ფრანსსისა და ჯოუ ენ-ლაის საუბარი დაახლოებით ორ საათს გაგრძელდა.

ჯოუ ენ-ლაისთან საუბრის დამთავრების შემდეგ მენდეს-ფრანსმა პრესის წარმომადგენლებს შემდეგი განუცხადა:

ჯოუ ენ-ლაის, მე, აგრეთვე ჩვენს თანამშრომლებს სრულიად ძალდაუტანებელი საუბარი გვქონდა იმ საკითხებზე, რომლებიც ინდოჩინეთს შეეხება. ეს გულახდილი და დაწვრილებითი საუბარი იმედს მაძლევს, რომ ჟენევის თათბირი პროგრამას მიაღწევს.

ჩერჩილის პასუხი შეკითხვებზე თემთა პალატაში

ლონდონი, 23 ივნისი. (საკდესი). როგორც ლონდონის რადიო იუწყება, გუშინ ინგლისის თემთა პალატაში შეტანილ იქნა მთელი რიგი შეკითხვები ვაშინგტონს ჩერჩილისა და იდენის მომავალი გამგზავრების შესახებ.

უპასუხა რა ამ შეკითხვებზე პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა თქვა, რომ ვაშინგტონში მოლაპარაკებისათვის დასახული არ არის არავითარი გარკვეული დღის წესრიგი. მაგრამ, თქვა მან, იმედი მაქვს მოლაპარაკების მსვლელობაში ერთმანეთს გავუზიაროთ აზრი ყველა საკითხზე, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ამჟამად.

ჩერჩილმა უარყო მტკიცება იმის შესახებ, რომ გადაწყვეტილება ვაშინგტონის მოლაპარაკების მოწყობის შესახებ ჟენევის თათბირის ჩაშლას ნიშნავდეს. არსებითად, თქვა ჩერჩილმა, გადაწყვეტილება ვაშინგტონის მოლაპარაკების მოწყობის შესახებ მიღებულ იქნა 20 აპრილს, როცა ჟენევის თათბირი ჯერ არც კი დაწყებულიყო.

შემდეგ ჩერჩილმა განაცხადა, რომ მისთვის მეტად სასიამოვნოა აღნიშნოს ის ფაქტი, რომ მისი მეგობრული გამოთქმები საბჭოთა კავშირის შესახებ (ლონსერვატიული ორგანიზაციის „პრიმროზ ლიგის“ 30 აპრილის კრებაზე. — **რედ.**) კეთილსასურველად იქნა მიღებული ხელმძღვანელ საბჭოთა წრეებში. ინგლისის მთავრობა, განაცხადა მან, ცხადია, არ დატოვებს გამოუყენებელს არც ერთ შესაძლებლობას საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად.

ინგლისის თემთა პალატაში

ლონდონი, 24 ივნისი. (საკდესი). როგორც პრეს ასოშიეშნის სააგენტო იუწყება, გუშინ თემთა პალატაში საგარეო პოლიტიკის საკითხებზე კამათში გამოვიდა ოპოზიციის ლიდერი ატლი, რომელმაც აღნიშნა იდენის ღონისძიებანი ჟენევაში და დასძინა: „მე ვფიქრობ, სავსებით ნათელი იყო, რომ მოლოტოვიც ცდილობდა თათბირის წარმატებას“.

„მე მიმაჩნია, — განაგრძო ატლიმ, — რომ თათბირის ყველაზე ღირსშესანიშნავი ნიშანი იყო ის, რომ ევროპაში გაჩარული თათბირში პირველად იღებდნენ მონაწილეობას ჩინეთის ნამდვილი მმართველნი. ჭეშმარიტად უაზრობაა, რომ დღემდე ჩინეთის ახლანდელი მთავრობა არ ითვლება ამ ქვეყნის აღიარებულ მთავრობად... ჩემი აზრით, კორეაში მოწესრიგების ნამდვილი დაბრკოლებაა ის, რომ დღემდე არ უცვნიათ ჩინეთის მდგომარეობა და რომ ჩინეთს არ უკავია „გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში“ ადგილი, რომელიც მას ეკუთვნის.

ლიბერალური პარტიის ლიდერმა კლემენტ დევისმა, კერძოდ, განაცხადა: „იმისათვის, რომ მივაღწიოთ მშვიდობას, და მივაღწიოთ მას გონივრული გზით და არა ომის საშუალებით, საჭიროა, ჯერ ერთი, რომ ჩინეთის მთავრობა ცნოს ყველამ, მათ შორის შეერთებულმა შტატებმა, და, მეორე, რომ ამ მთავრობამ დაიკავოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ადგილი, რომელიც მას ეკუთვნის“.

კონსერვატორმა რობერტ ბუტბიმ ეჭვი გამოთქვა, რომ შეერთებულ შტატებს ნამდვილად სურდათ რაიმე მშვიდობიანი მოწესრიგება ჟენევაში.

ინდოჩინეთის საკითხი ინგლისის პარლამენტში

ლონდონი, 24 ივნისი. (საკდესი). ინგლისის ლორდთა палატაში ლორდ ალანბროკმა, ინდოეთის სახელმწიფო მდივანმა, ინდოჩინეთის საკითხზე ინგლისის ოფიციალური პოზიციის ახსნა-განმარტებისას, ინდოეთის ელჩის ინდოჩინეთში ბ-ნ ბანერჯეა ინდოეთის ელჩად ინდონეზიაში, ინდოეთის ელჩად ინდონეზია